ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 284 (11) 20 აპრილი, 2015 წ

შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ა(ა)იპ ,,სათნოების სახლის“ დირექტორი თანამდებობას დატოვებს

13 აპრილს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, გამგებლის მოადგილეებთან (პაატა გოგოლაძე, დავით დევდარიანი, თემურ ჩხეიძე), საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან ვლადიმერ გელაშვილთან, ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსთან ნანა კიკნაძესთან, გამგეობის აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებთან და ა(ა)იპ ,,სათნოების სახლის“ დირექტორთან მაკა შველიძესთან თათბირი გამართა. თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ა(ა)იპ ,,სათნოების სახლში“ აუდიტის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე გაამახვილა ყურადღება. მისივე ინფორმაციით, რამდენიმე ხნის წინ, გამგეობის აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებულ იქნა ,,სათნოების სახლი“, სადაც შესყიდვების მიმართულებით გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა. შენიშვნები იყო ბენეფიციართა მომსახურების აღრიცხვიანობის მოწესრიგების კუთხითაც.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსს ნანა კიკნაძეს დაავალა, მისმა სამსახურმა განახორციელოს მონიტორინგი ,,სათნოების სახლზე“, შეისწავლოს იქ არსებული ვითარება, გადახედოს კვების რაციონს და დაადგინოს, ბენეფიციართა მოთხოვნების შესაბამისად, რამდენად შეესაბამება იგი დღევანდელ სტანდარტებს.

შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა, აქცენტი გააკეთა სამსახურებში თანამშორმელთა დასწრებაზე და მასზე ზედახედველობა გამგეობის აუდიტის სამსახურს დაავალა.

„აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდეს მკაცრი კონტროლი თანამშრომელთა სამსახურში დასწრებაზე, არა მარტო ,,სათნოების სახლში“, არამედ ყველა ა(ა)იპ-სა და გამგეობის სამსახურებში. სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევაში დასაქმებულებზე გარკვეული ღონისძიებები გატარდება. არიან ადამიანები, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა სამსახურში მუშაობენ და პრაქტიკულად მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს არაჯეროვნად ასრულებენ. ამიტომ ასეთი კადრების საკითხი გადაიხედება“.

ბატონმა კობამ ასევე ,,სათნოების სახლს“ მოსთხოვა, დაუყოვნებლივ მოიყვანოს შესაბამისობაში მთავრობის N422 განკარგულება - საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საუბრის დასასრულს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ თუ ა(ა)იპ ,,სათნოების სახლის“ მიერ თვის ბოლომდე არ იქნება გათვალისწინებული გამოთქმული შენიშვნები, სამსახურის ხელმძღვანელის განთავისუფლების საკითხი დადგება.

ზოგადი კონტროლი აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში სფეროს კურატორს, თემურ ჩხეიძეს, დაევალა.

ეკა შავიძე

მუნიციპალიტეტის გამგეობა სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებზე 24 600 ლარს გასცემს

15 აპრილს სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებმა სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების საკითხზე იმსჯელეს. მათივე გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე 22 ოჯახზე გაიცემა ფულადი დახმარება 24 600 ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველი, მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეები რამდენიმე კატეგორიად იყოფიან. ამ ეტაპზე პირველი კატეგორიის 7 მოქალაქეს გაეწევა დახმარება 1200 ლარის ოდენობით. პირველი კატეგორიის ორ მოქალაქეს, რომელსაც სახლი დაეწვა და, ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ დარჩნენ, დახმარება გაუორმაგდათ. მეორე კატეგორიის 8 ოჯახიდან ექვსს - 700 ლარის ოდენობის თანხა გადაეცემა, ხოლო ამავე კატეგორიის ორ ოჯახს, ერთს -2000 ლარი, ხოლო მეორეს 1200 ლარი. ერთი მათგანი დევნილია, ხოლო მეორეს სახურავის პრობლემა აქვს. მესამე კატეგორიაში მყოფ 5 ოჯახს მუნიციპალიტეტის გამგეობა დაზიანებების შესაბამისად გაუწევს დახმარებას.

ამჟამად დახმარება მუნიციპალიტეტში მხოვრებ შემდეგ ოჯახებს გაეწევათ:

I -კატეგორია

მანანა ხარატიშვილი -სოფელი ლაშე (2400 ლარი);

ნუგზარი ჭიპაშვილი -სოფელი ისლარი (2400 ლარი);

აგაზა გელაშვილი - სოფელი ნადაბური (1200 ლარი);

გიორგი ქურდაძე -სოფელი მარელისი (1200 ლარი);

გუგულა ხიხაძე - სოფელი ზვარე (1200 ლარი);

ავთანდილი ბუაჩიძე -სოფელი ფარცხნალი(1200 ლარი);

სიმონი ლორთქიფანიძე - სოფელი მარელისი(1200 ლარი);

გელა ლურსმანაშვილი - სოფელი ღორეშა (1200ლარი);

II-კატეგორია

რეზო თაბუკაშვილი - სოფელი ფარცხნალი (1200ლარი);

ნანა ფანქველაშვილი - სოფელი ზვარე (700 ლარი);

გოჩა ხარაძე - ახალსოფელი (700 ლარი);

ლევანი ხარაძე -ახალსოფელი (700ლარი);

ბესიკი ბერაძე - სოფელი ხიდარი (700ლარი);

გრიგოლი ვეფხვაძე - სოფელი ლეღვანი (700 ლარი);

ნოდარი შუბითიძე - სოფელი ნადაბური (2000ლარი);

კლარა ცხადაძე - სოფელი ვახანი (700 ლარი);

III-კატეგორია

დემური ლომიძე - სოფელი საქასრია (1000 ლარი);

ბუდუ თავზარაშვილი - სოფელი თეთრაწყარო (1000 ლარი);

თამაზი თხელიძე - სოფელი ღვერკი (1000 ლარი);

თინა თაბუკაშვილი -სოფელი ღუდუმექეთი (500ლარი);

მიმოზა პაკელიანი - პატარა ხარაგაული(500 ლარი);

ნათელა კოპინაშვილი - სოფელი ვახანი (1200 ლარი).

ეკა შავიძე

მუნიციპალიტეტის გამგეობამ მრავალშვილიან ოჯახს საცხოვრებელი სახლი შეუძინა

მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბაბში მცხოვრები ხათუნა ბუაჩიძე, იმ ოჯახების კატეგორიას მიეკუთნება, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგეობამ ახალი საცხოვრებელი სახლი შეუძინა. ქალბატონი ხათუნა მრავალშვილიანი დედაა. მას ეკონომიურად ძალიან უჭირს და სოციალურად დაუცველ ოჯახთა სიაშია. უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე მყოფს საცხოვრებელი ფართის არქონაც ემატებოდა. ამ მხრივ პრობლემები წლების განმავლობაში თანდათან მძიმდებოდა. სახლი ავარიულ მდგომარეობაში და საცხოვრებლად საშიში იყო. როგორც ოჯახის დიასახლისმა ხათუნა ბუაჩიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გასულ წლებში გამგეობას დახმარების თხოვნით რამდენჯერმე მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

მას შემდეგ, რაც მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლის წარმომადგენლად სპარტაკ ლაცაბიძე დაინიშნა, იგი აქტიურად ჩაერთო ხათუნას ოჯახის დასახმარებლად. ხათუნა გამგეობაში ჩამოიყვანა და განცხადება დააწერინა.



ბინა რომელიც ხათუნა ბუაჩიძის ოჯახს მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეუძინა

სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საკითხი მალევე შეისწავლა და დასკვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგეობამ მას ფულადი დახმარება გამოუყო. იმის გამო, რომ საცხოვრებელი ფართი შეკეთებას არ ექვემდებარებოდა, ხათუნა ბუაჩიძის ოჯახს, აღნიშნული თანხით მოლითის რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა შეუძინეს. ხათუნა და მისი შვილები ამ ფაქტით გახარებულნი არიან და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, მადლიერებას გამოხატავენ.

ხათუნა ბუაჩიძე: „უმძიმეს პირობებში ვცხოვრობდი. ეკონომიურად მიჭირს. მცირეწლოვანი ხუთი შვილის დედა ვარ, ბავშვების აღზრდას ბევრი რამ სჭირდება, ოჯახის შემოსავლის წყაროს მხოლოდ სოციალური დამხმარება წარმოადგენს. ბედნიერი ვარ, რომ დღეს საცხოვრებელი ფართის პრობლემა აღარ გამაჩნია. ეს საჩუქარი ჩემი ოჯახისთვის, ჩემი შვილებისთვის, უდიდესი სიხარულია. სიტყვები არ მყოფნის, როგორ გამოვხატო მადლიერება იმ ადამიანების მიმართ, ვინც წვლილი შეიტანა ჩემი ოჯახის ბედნიერებაში. განსაკუთრებული მადლობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, რომელსაც გულთან მიაქვს თითოეული ადამიანის გასაჭირი, რომ არა მისი კეთილი ნება, დღეს მე და ჩემი შვილები ალბათ ღია ცის ქვეშ ვიქნებოდით“.

ქალბატონი ხათუნას მსგავსად გახარებულია ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები არჩილ გამცემლიძის მრავალშვილიანი ოჯახი. ისინი ფონდ ,,იავნანასა“ და მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით პირველი ივნისიდან კეთილმოწყობილ სახლში დაიდებენ ბინას. არჩილის მეუღლე, ია გამცემლიძე, რომელიც რვა შვილის დედაა, ამბობს, რომ საცხოვრებელი ფართის არქონის გამო წლებია, საკუთარ მშობლებთან ცხოვრობს. თუმცა სახლი, რომელშიც ოჯახი ამჟამად თავს აფარებს, საცხოვრებლად გამოუყენებელია.

ია გამცემლიძე: „ადგილობრივი ხელისუფლება ჩემი ოჯახის მიმართ ყურადღებას ყოველთვის იჩენს. მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სისტემატურად ვსარგებლობ სხვადასხვა სოციალური პაკეტით. მაჟორიტარი დეპუტატი ქალბატონი მანანა ბარბაქაძე და გამგებლის წამომადგენელი ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯემალ მაღლაკელიძე, აქტიურად იყვნენ ჩართულები ჩემთვის საცხოვრებელი ფართის შეძენაში. ფონდ „იავნანასა“ და მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით ეს პრობლემა გადაიჭრა. ძალიან ბედნიერი ვარ, კეთილი ადამიანების ნებით გვეღირსება მე და ჩემს შვილებს ნორმალურ პირობებში ცხოვრება. ახლა სულ სხვა თვალით ვუყურებ ცხოვრებას, ყველაფრის ხალისი დამიბრუნდა. მაქვს იმედი, რომ ასეთი ადამიანებისგან ყოველთვის ვიგრძნობ ყურადღებას. კიდევ ერთხელ თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენზე იზრუნა და გვერდში დაგვიდგა. უფალმა გვიმრავლოს ასეთი კეთილი საქმის მკეთებელნი“.

ეკა შავიძე

სახლი, რომელშიც ამჟამად არჩილ გამცემლიძის ოჯახი ცხოვრობს

კიცხში საზოგადოებრივი ცენტრის აშენება იგეგმება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის ინფორმაციით, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 767 473 ლარი მიიღო. თანხა ყველა სოფელზე გადანაწილდა, ხოლო საერთო თანხის 20%-ით კიცხში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა იგეგმება. ბატონი მალხაზის თქმით, კიცხში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობას 157 473 ლარი მოხმარდება.

„ჩემთვის გაუგებარია რომელი ხარჯი შევამცირო, მთავრობის №422 განკარგულებას სისრულეში ვერ მოვიყვან!“

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობას“ 2014 წლის სექტემბრიდან მიხეილ ჭიპაშვილი ხელმძღვანელობს. საქმე, რომელიც მისდამი დაქვემდებარებული ა(ა)იპის პირდაპირი მოვალეობაა, ნათლად არის ასახული არამარტო დაბის, არამედ რამდენიმე სოფლის იერსახეზეც. მიხეილის წინამორბედის, აწ უკვე მისი მოადგილის, დავით ლაცაბიძის რუდუნებით მოვლილი ყვავილები, საკუთარი ხელით დარგული და განაშენიანებული გაზონები და სკვერები დღეს, გაზაფხულის ამ ლამაზ თვეში თვალწარმტაცად ყვავიან და შთამბეჭდავად გამოიყურებიან. დავითი გვეუბნება, რომ მისი ნაშრომი ორ წელიწადში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

ჩვენ დავინტერესდით ბატონი მიხეილის მოსვლის შემდეგ რა გაკეთდა ხარაგაულში კეთილმოწყობის კუთხით და მას ინტერვიუზე ვეწვიეთ. საუბარი ასევე შეეხო ცოტა ხნის წინ მთავრობის N422 განკარგულების შესაბამისობაში მოყვანას.

- ბატონო მიხეილ, თქვენ გასული წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობთ ხარაგაულკეთილმოწყობას. გავიდა დაახლოებით წელიწადნახევარი. რისი გაკეთება შეძელით მთელი ამ ხნის განმავლობაში?

- თავდაპირველად გეტყვით, რომ კეთილმოწყობის სამსახურის პირდაპირი მოვალეობა დაბაში და სოფლებში არსებული სკვერებისა და პარკების, ასევე გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობაა. ჩვენთან ძალზე სპეციფიური სამუშაოა, აქ დასაქმებულ ადამიანებს ყოველდღიურად სჭირდებათ საღებავი, რკინა, ფიცარი, ნათურა, კაბელი და ა.შ. ფიცრები შევცვალეთ, შევაკეთეთ და შევღებეთ კიკნაძის, ხარაძის, 9 აპრილის სკვერში მდებარე სკამები. იგივე სამუშაოები ჩავატარეთ დაბის პარკშიც, მაგრამ იქ დროებით შეჩერებულები ვართ იმ პროექტის გამო, რომელიც მუნიციპალიტეტის დაფინანსებით უნდა განხორციელდეს. ვინც მოიგებს ტენდერს სჯობს მათთან დავდოთ ხელშეკრულება და პარკის კეთილმოწყობაში ჩვენი წვლილიც შევიტანოთ. ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ ყველა პარკში და სკვერში, როგორც დაბაში ასევე სოფლებშიც, დავრგეთ სხვადასხვა ჯიშის ნერგები, ზოგი შევიძინეთ, ზოგიც უსასყიდლოდ გადმოგვცეს. მათ შორისაა იშვიათი ჯიშის ნერგებიც და ყვავილებიც. უკვე ყველა სათესური მიწაშია მოთავსებული. ცოტა ხნის წინ, შევიძინეთ ულამაზესი ოლეანდრები ქოთნებით, რომლებიც უახლოეს დღეებში დაიდგმება დაბის სხვადასხვა ადგილებში. აქამდე უამინდობის გამო ვიყავით გაჩერებულები. მას შემდეგ რაც „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დაქვემდებარებაში გადმოვიდა საქარიქედის ნაძვნარის მოვლა-პატრონობა, იქ ჩავატარეთ გაწმენდითი სამუშაოები, ჩავდგით რამდენიმე საქანელა-სკამეიკა და შევიყვანეთ გარე განათების ქსელი. გარდა ამისა, ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში მოვახდინეთ ე.წ „ტუხიას ბაღის“ ერთი ნაწილის დასუფთავება და კეთილმოწყობა. აღნიშნული პარკისთვის უკვე შეძენილი გვაქვს საქანელა-სკამეიკები და მალე გადავიტანთ და დავამონტაჟებთ. დღესდღეობით სარემონტო-შეღებვითი სამუშაოები მიმდინარეობს პატრა ხარაგაულში არსებულ სტადიონზე და სკვერში. გარდა ამისა, გამგებლის უშუალო დავალებით და მოსახლეობიდან შემოსული წერილების საფუძველზე დაბის ტერიტორიაზე მოვჭერით ხეები. 7 ძირი გასული წლის დეკემბრის თვეში, ხოლო 8 ძირი ხე ამა წლის მარტი-აპრილის თვეში. ეს იყო ძალზე რთულად შესასრულებელი სამუშაო. წლების განმავლობაში ითხოვდა მოსახლეობა ამ ხეების მოჭრას, მაგრამ ვერ გამოიძებნა თუ არ გამოიძებნა სათანადო სპეციალისტი ვერ გეტყვით. დღეს ეს პრობლემა მოგვარებულია. მოჭრილი ხეები ნელ-ნელა გაგვაქვს და ყოფილი გამთიშველების ქარხანაში ვასაწყობებთ.

- გარე განათების კუთხით რა მდგომარეობაა. არის თუ არა ქსელი გამართული?

- ბორითის ადამინისტრაციულ ერთეულში მთლიანად შევცვალეთ 12 კილომეტრიანი გარე განათების ქსელი, რომელიც სრულად იყო მწყობრიდან გამოსული. ჩვენდამი დაქვემდებარებულ ყველა პარკსა და სკვერში ღამის განათების ქსელი აბსოლუტურად გამართულ მდგომარეობაშია. მხოლოდ ვერ მოხერხდა რკინიგზის სადგურზე გადასასვლელი ხიდის მოაჯირებზე ჩამონტაჟებული განათებული ბურთების გამოცვლა, რადგან ბაზარზე, კარგა ხნის მანძილზე ვერ მოიძებნა ანალოგიური ბურთულები, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ჩვენ მას მივაკვლიეთ, გამოვაცხადეთ ტენდერი და ეს ბურთულებიც მალე აინთება. ჩვენი სამსახურის ეს მიმართულება აქტიურად მუშაობს. ელექტრიკოსები მობილიზებულნი არიან 24 საათის განმავლობაში რომ ქსელი მწყობრიდან არ გამოვიდეს. ტექნიკური დაზიანების შემთხვევებში სპონტანურად ხდება ნათურებისა თუ კაბელების გამოცვლა, აღდგენა, რეაბილიტაცია.

-გვაქვს ინფორმაცია, რომ დაბის სკოლა-გიმნაზიაში გარკვეული სახის სარემონტო სამუშოებს ატარებთ? უფრო კონკრეტულად თუ შეიძლება?

- რა თქმა უნდა, ძალზედ მნიშვნელოვანია პროექტი, რომელიც შეიძლება ითქვას, უკვე დასრულებულია. ეს არის დაბის სკოლა-გიმნაზიაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ჩვენთან შექმნილია კეთილმოწყობის ჯგუფი და სწორედ მათ შეასრულეს ეს სამუშაოები. მოხდა სკოლის ორივე სართულის დერეფნების გარემონტება და იატაკის დაგება. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 8 მეტრის სიგრძის კიბეს. მშობლების ინიციატივით და მათი ხელშეწყობით ასევე კეთილმოვაწყვეთ ერთი საკლასო ოთახი. სარემონტო სამუშოებში ფიზიკურად გვეხმარებოდნენ სხვადასხვა ა(ა)იპ-ს თანამშრომლები,რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ.

- სამომავლოდ რას გეგმავთ? რომელი პროექტების დაფინანსებაა გათვალისწინებული მიმდინარე წლის ბიუჯეტში?

- ცოტა ხნის წინ, ჩვენს მფლობელობაში გადმოვიდა დაბაში არსებული ოთხი ფანტანი. ჩვენ მოვახდინეთ მათი გამრიცხველიანება, დანიშნულების ადგილებამდე მივიყვანეთ წყალი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოო წყალი საკმაოდ ძვირი ღირს, ჩვენ მოვიძიეთ ისეთი მექანიზმი, რომელიც მხოლოდ თითის დაჭერის შემდეგ აძლევს წყალს ამოდინების საშუალებას. ადრე ასეთი მექანიზმი იყო, მაგრამ მწყობრიდან გამოვიდა. ახლა უფრო ხარისხიანი შევარჩიეთ და უახლოეს დღეებში დავამონტაჟებთ კიდეც. ვგეგმავთ რეკონსტრუქცია ჩავუტაროთ ე.წ „დინეზარდას წყაროსაც“. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ამისთვის თანხები გვაქვს ჩადებული. მაგრამ მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი და თანაც საჩქაროდ სისრულეში

▶3 გვ.

რა შეიცვალა სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგიაში

პირველი აპრილიდან სოციალურად დაუცველებს სტატუსი ახალი მეთოდოლოგიით მიენიჭებათ, რომლის მიხედვითაც სარეიტინგო ქულებზე გავლენას აღარ მოახდენს პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რასაც ახალი მეთოდოლოგია ითვალისწინებს, არაობიექტური ქულის მინიჭებისგან ოჯახის დასაცავად სუბიექტური ფაქტორებისგამორიცხვაა, კერძოდ - აღარ გაითვალისწინებენ სოციალური აგენტის სუბიექტურაზრს, რომელსაც აქამდე დიდი გავლენა ჰქონდა სარეიტინგო ქულებზე.

ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, ქულის განსაზღვრისას აღარ გაითვალისწინებენ ოჯახში შემდეგი საყოფაცხოვრებო ნივთების არსებობას: საბჭოთა ავტომობილები, ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი ავზი, გაზის წყლის გამათბობელი, გაზის გამათბობელი, ვიდეო ან ციფრული ფოტოკამერა, ვიდეომაგნიტოფონი ან DVD ფლეერი, დენის გენერატორი, კონდენციონერი, სამზარეულოს კომბაინი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, გათბობისა თუ ცხელი წყლით მომარაგების ინდივიდუალური სისტემა. სტატუსის განსაზღვრისას ახალი მეთოდოლოგია ორიენტირებული იქნება ოჯახების შემოსავლებზე ან მხოლოდ შემოსავლის მომტან ქონებაზე და სოციალურად დაუცველის სტატუსის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს დამატებითი ბინა, მიწის ნაკვეთი სახნავ-სათესად და.ა.შ.

სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდოლოგიის გარდა, იცვლება შემწეობის გაცემის სისტემაც, კერძოდ კი, ქულათა მაჩვენებელი ხუთ კატეგორიად დაიყო. თუ აქამდე შემწეობის გასაცემად მაქსიმალური ქულა 57 000 იყო, ახლა მას კიდევ ორი ჯგუფი 60 000-მდე და 65 000-მდე ქულის მქონე ოჯახები დაემატება. იქნება კიდევ ერთი ჯგუფი 65 000-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახებისა, რომლებიც უფრო დაბალი ქულის მქონე ოჯახების მსგავსად, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 10- ლარიან დანამატს მიიღებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორია არიქნება ბენეფიტის მიმღები.

შემწეობის გაცემისას მოხდება სოციალურად დაუცველების დიფერენცირება, ანუ ქულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად დაყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად გაჭირვებული ოჯახები, მეტ დახმარებას მიიღებენ. ოჯახებს, რომლებსაც 30 000-მდე ქულა ექნებათ, 60 ლარიანი დახმარება დაენიშნებათ, 60 000 - 65 000 ქულის მქონე ოჯახები კი 30 ლარიან დახმარებას მიიღებენ. ასევე, ამჟამინდელი მეთოდისგან განსხვავებით, როცა ოჯახის პირველი წევრი 60 ლარს იღებს და დანარჩენი - 48 ლარს, ახალი მეთოდით ოჯახის ყველა წევრი ყველა დონეზე თანაბარ დახმარებას მიიღებს.

ოჯახები, რომლებსაც უკვე მინიჭებული აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი და იღებენ დახმარებას, 2015 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, მათ მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით გადამოწმდებიან.

იმ ოჯახებმა, რომელთაც წარსულში მაღალი ქულები მიენიჭათ და ახალი მეთოდით სურთ შეფასება, ხელმეორედ უნდა დაწერონ განცხადება სოციალური მომსახურების სააგენტოში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს წინასწარი გათვლით, ახალი მეთოდოლოგიის ამუშავება რამდენიმე ასეული ათასით გაზრდის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობას.

ხარაგაულმა ქუთაისის თეატრ „აპლოდისმენტებს“ უმასპინძლა

16 აპრილს ხარაგაულის კინოთეატრში, ქუთაისის თეატრი „აპლოდისმენტები“ მაყურებლის წინაშე სპექტაკლით „ფანჯრებს იქით“ (ავტ. თამაზ ბაძაღუა) წარსდგა. ღონისძიებას ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, თეატრის მოყვარული ხარაგაულელებიც ესწრებოდნენ. საღამო საინტერესოდ წარიმართა, ახალგაზრდა მსახიობების მიერ ოსტატურად შესრულებულმა როლებმა მაყურებელში დადებითი ემოცია გამოიწვია. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მსახიობები, ხარაგაულელმა მაყურებელმა, აპლოდისმენტებით გააცილა სცენიდან.

მერაბ არევაძის ოჯახს აშშ-ში დამზადებული მემორიალური დაფა გადაეცა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ნათია კობახიძე და აშშ-ს შინაგანი დეპარტამენტის საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამის წარმომადგენელი პაატა შანშიაშვილი ბორჯომხარაგაულის ეროვნულ პარკს ესტუმრნენ, სადაც დაღუპული რეინჯერის, მერაბ არევაძის ოჯახს, მისი სახელის პატივსაცემად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებული მემორიალური დაფა გადასცეს.

2012 წელს მერაბ არევაძე ბრაკონიერობის საწინააღმდეგო ოპერაციის შესრულების დროს დაიღუპა. ის ასევე, აშშ-ს შინაგანი დეპარტამენტის დაცული ტერიტორიების ინტეგრალური მართვის კურსდამთავრებული იყო.

ხარაგაულის „ჩხერიმელამ “ წყალტუბოს „სამგურალი“ ანგარიშით 3:2 დაამარცხა

15 აპრილს ხარაგაულის სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის საფეხბურთო მოედანზე ეროვნული ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდები ხარაგაულის ,,ჩხერიმელა“ და წყალტუბოს ,,სამგურალი“ დაუპირისპირდნენ. შეხვედრაზე ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, თუმცა 36-ე წუთზე თემურ სანიკიძემ გათანაბრება შეძლო. 49-ე- წუთზე, ბერიკა ბარბაქაძემ, ხარაგაულის „ჩხერიმელას“ უპირატესობა მოუპოვა. ხოლო დათა წულაიამ 52-ე წუთზე სხვაობა ორ ქულამდე გაზარდა. მატჩი ანგარიშით - 3:2 - მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა.

„ჩემთვის გაუგებარია რომელი ხარჯი შევამცირო, მთავრობის №422 განკარგულებას სისრულეში ვერ მოვიყვან!“

◀ 2 ᲒᲒ.

მოსაყვანია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მერაბ კორსტავას გარდაცვალების ადგილზე მისივე სახელობის სკვერის მოწყობას. ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს მაკეტი. ამ ეტაპზე იქ უკვე მიმდინრეობს საპროექტო სამუშაოები და 26 მაისამდე (ამ დღეს იქ გრანდიოზული ღონისძიება იგეგმება) სკვერი უნდა კეთილმოვაწყოთ.

სამომავლო გეგმებში ორიენტირი სოფლების მიმართულებით გვექნება.

- თქვენ რამდენიმე კვირის წინ მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ა(ა)იპ ებისა და სამსახურების უფროსებთან გამართულ თათბირზე არ გამოცხადდით და ამის გამო საყვედურიც მიიღეთ. რატომ?

- აღნიშნული თათბირის შესახებ პირდად ჩემთვის არავის უცნობებია, თანაც იმ დღეს სწორედ იმ სამუშოების შესრულება მიმდინარეობდა, რომელიც უშუალოდ გამგებლისგან გვქონდა დავალებული. იმ ხეების მოჭრა ძალზედ სახიფათო და საპასუხისმგებლო იყო. შესაბამისად, ჩემი იქ ყოფნაც აუცილებელი გარემოება გახლდათ. გამომდინარე აქედან, თათბირზე ვერ მივიდოდი.

- რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ თქვენ კარგა ხნის მანძილზე ვერ გაიგეთ მთავრობის N422 განკარგულების შესახებ. მაგრამ, როცა ის უკვე თქვენს ხელთ მოხვდა, დაგეგმეთ თუ არა იმ ღონიძიებების გატარება, რაც განკარგულებაშია მითითებული?

- საქართველოს მთავრობის N422 განკარგულებამ, საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების მოთხოვნით, ცოტა არ იყოს, ხარაგაულში დაფუძნებულ არასასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირებში აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩემთვის გაუგებარია რომელი ხარჯი შევამცირო. მე ამ განკარგულებას სისრულეში ვერ მოვიყვან. გამართული მუშაობისათვის, ის თანხები, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოგვეყო, სამსახურს ნამდვილად ესაჭირეობა.

- კადრების შემცირებას ხომ არ გეგმავთ? გასულ წელთან შედარებით თითქმის ერთი ორადაა გაზრდილი თანამშრომელთა რიცხვი.

- რაც შეეხება ამ თემას, გაუთავებელი საუბრები რომაა, კადრებია გაზრდილიო, მოგახსენებთ, რამ გამოიწვია ეს; გასულ წელს, პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობაზე დასაქმებული იყო 9 ადამიანი, ხოლო მიმდინარე წელს მათი რიცხვი 16-მდე გაიზარდა. მას შემდეგ, რაც უკვე ნახსენები სანერგე მეურნეობა ჩვენ მფლობელობაში გადმოვიდა (იქამდე იგი მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრება იყო) იქ დასაქმებული ორი თანამშრომელი ავტომატურად გადმოვიდა ჩვენს ბალანსზე. ორი თანამშრომელი დავამატეთ პოლიციის მიმდებარე სკვერის მოვლა-პატრონობისთვის. ესეც ახალი გადმოსულია ჩვენს დაქვემდებარებაში, ორიც ე.წ ტუხიას პარკში პატრულირებისთვის. და ერთიც სოფელ ნებოძირში ახლადგაკეთებული სკვერისთვის. მათი სახელფასო სარგო თითოეულ კადრზე შეადგენს 250 ლარს. მთლაიანად „ხარაგაულკეთილმოწყობაში“ გასულ წელს მუშაობდა 23 ადამიანი, ხოლო მიმდინარე წელს 46 კადრია დასაქმებული. გარდა სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობისთვის დამატებული თანამშროლებისა, ჩვენ ასევე დავამატეთ სამი დარაჯი, რომელთაც ევალებათ არასამუშაო დღეებში და საათებში, პატრულირება აწარმოონ დაბის ტერიტორიაზე, რათა არ მოხდეს რქოსანი მსხვილფეხა პირუტყვის მიერ გაზონებისა და ნარგავების დაზიანება. მინდა გითხრათ, ჩვენ ამის გაკეთება უშუალოდ საკრებულომ დაგვავალა და უფრო მეტიც, ასეთი პირუტყვის აღმოჩენის შემთხვევაში 10-ლარიანი ჯარიმაც კი გვაქვს დაწესებული. დავამატეთ ასევე ორი მძღოლი. აქედან ერთი გამგეობის მიერ გადმოცემულ ავტომანქანას მართავს, ხოლო მეორე - „ივეკოს“ ფირმისას. აბა გეკითხებით, რომელი კადრი შევამცირო, ან რა ალტერნატივა შევთავაზო...? მე ამ კუთხით ზომებს ვერ გავატარებ. ეფექტური მუშაობისთვის ყველა თანამშრომელი საჭიროა.

- რემონტსა და და ავეჯის შეძენაში რა თანხები გახარჯეთ?

- რემონტისთვის 9800 ლარი დაიხარჯა. ეს თანხა მხოლოდ მასალების შეძენას მოვახმარეთ. რაც შეეხება მუშახელს, - ყველაფერს ჩვენი ძალებით და ჩვენი ფინანსებით ვაკეთებთ. ძველი მარაგებით, ცოტაც გამოთავისუფლებული თანხებით, მოვახერხეთ და შევიძინეთ რბილი ავეჯი, ტელევიზორი და პრინტერი. ვიდრე მთავრობიდან ეს განკარგულება მოვიდოდა, ეს ყველაფერი ნაყიდი იყო.

- მიხეილ, გასულ წლებთან შედარებით მოიმატა თუ არა ა(ა)იპის თანამშრომლების ხელფასებმა?

- რაც შეეხება ხელფასების ზრდას. 3 თანამშრომელს თვიური ანაზღაურება 50-50 ლარით გაეზარდა, ხოლო 3-ს - 100-100 ლარით. ესენი არიან ის თანამშრომლები, რომელთაც უფრო მეტი პასუხისმგელობა აკისრიათ და მეტი ვალდებულებები აქვთ. რაც შეეხება ჩემს მოადგილეს, ბუღალტერს, საწყობის გამგეს, ოფის-მენეჯერს და ა.შ. (მათ შორის მეც) თანამდებობრივი სარგოები ისევ იგივეა, რაც გასულ წელს იყო.

თეა ბერიძე

14 აპრილი - ქართული ენის დღე „სისხლად დიოდი არაგვში...“



დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენგანის წიგნის თაროს ამშვენებს შუქია აფრიდონიძის „ჩვენი ენა ქართული“, რომელიც დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ და მწამს, რომ იგი თაროს კი არა, მოსწავლის სამუშაო მაგიდას ამშვენებს და მისი განუშორებელი საუნჯეა. სხვაგვარად არ იქნება, რადგან წიგნის თავფურცელი ასეთი სიტყვებით იწყება: „ვუძღვნი ჩვენი სკოლის გოგო-ბიჭებს - ყველა ანოსა და ვანოს - დედაენის მომავალ ქომაგებსა და გუშაგებს“.

დიახ, სწორედ მომავალმა თაობამ უნდა დაიცვას ერის არსებობის ფუძე და საძირკველი, ქართველთა თვითმყოფადობის საუკუნეებში ჩადუღაბებული ბალავარი...

არ მინდა, ვინმეს თავს მოვახვიო ჩემი სუბიექტური აზრი, მაგრამ მოსწავლეებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს უფლებას, რომ ვთქვა, ჩვენს სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება (როგორც არ უნდა ათასგვარი არგუმენტებით დაგვიდასტურონ) და, შესაბამისად, აღნიშნული საგნის სახელმძღვანელოები ნამდვილად ვერ აწვდის ანოს და ვანოს იმ ჯანსაღ საზრდოს, რომ მშობლიური ენის ჭეშმარიტ ქომაგებად და გუშაგებად ჩამოყალიბდნენ...

ქართული ენის „დასაუფლებლად“ წიგნების ნამდვილი ბუმია. რა გინდა, სულო და გულო, რას არ გვთავაზობენ. თავბრუდამხვევია არჩევანი - რომელი რომელს ჯობს. ვიცნობ მასწავლებლებს, რომლებიც დღესაც ვერ შელევიან ენის სისტემატური სწავლების კურსს და არჩეული სახელმძღვანელობის პარალელურად, თანმიმდევრულად ასწავლიან ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს...

ნეტავ თუ მოვესწრებით იმ დროს, როცა სხვა ქალაქისა და რაიონის კი არა, თუნდაც ერთი დაბის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან არ მოგვიწევს შეკითხვა - ავტორთა რომელი ჯგუფის, რომელი გამომცემლობის სახელმძღვანელოთი სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას. ვითომ დემოკრატიის პრინციპების ღალატი იქნება, როცა ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ერთი სახელმძღვანელოთი ვასწავლოთ ქართული ენა და ლიტერატურა თბილისშიც, გორშიც, ხარაგაულშიც, სოხუმშიცა და ბათუმშიც...

როცა ქართული ენის სტილისა და მართლწერის ფორმებზე ვსაუბრობთ, აღარ გვიკვირს და დღეს თითქმის მივეჩვიეთ უკვე ასეთ ფორმებს: მამაომ მითხრა, მამაოს ვკითხე, დედაოებმა მირჩიეს...

ყურს გვიხვრეტს სატელევიზიო რეკლამიდან „დაფქვილი ყავა“ (პატრონი რომ არ გამოუჩნდა არც ამას და არც უამრავი ასეთი უზუსტობის გასწორებას).

თურმე ნუ იტყვით, ქართული ენის გრამატიკის „გადახედვით“ დაინტერესებულ მავანს ისიც კი გაუმჟღავნებია - რა საჭიროა, რომ ქართულში კითხვა ვინ? მხოლოდ ადამიანს დაესმის და არა - ყველა სულიერს? თუ ამ „ჭეშმარიტი“ კვლევის ავტორი გაიმარჯვებს, ალბათ ამასაც მივეჩვევით და კითხვაზე - ვინ მოდის? - ვუპასუხებთ: მასწავლებელი, ჭაბუკი, ექიმი, მეცნიერი... ხბო, ცხვარი, ინდაური, ბატი...

ზემოთ შუქია აფრიდონიძის ხელიხელსაგოგმანებელი წიგნი ვახსენე. ყოველთვის ჟრუანტელი მივლის, როცა მის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „პირველ ყოვლისა, მადლიერებითა და გულისტკივილით უნდა მოვიგონო ჩვენი სახელოვანი მეცნიერი და მოქალაქე, აწ განსვენებული ბ-ნი ევგენი ხარაძე, რომელმაც პირველმა მირჩია ამ წიგნაკის მომზადება და რომლის რეგულარული სატელეფონო ზარიც მუდამ მაგონებდა ნაკისრ მოვალეობას.“

გვეამაყება, რომ ეს ჩვენი დიდი თანამემამულე ციური სამყაროს კვლევასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ქართული ენის გრამატიკის ნორმებს და იყო ნამდვილად კარგი მოქართულე.

არ შემიძლია, გვერდი ავუარო ჩემთვის მეტად საინტერესო ფაქტს. ამ დიდი სწავლულის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საგაზეთო სტატიას ვამზადებდი. მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ცნობილ სწავლულებს შევხვდი. განსაკუთრებით დამამახსოვრდა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ბატონი ჯუმბერ ლომინაძე. (ძვირფასო მკითხველო, შეგახსენებთ, რომ ბატონმა ევგენიმ 1991 წელს თავისი პირმშო - აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია სწორედ მას ჩააბარა და ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში - 2000 წლამდე - ბატონი ჯუმბერი წარმართავდა ამ უდიდესი კვლევითი ცენტრის მუშაობას). სტატიაზე მუშაობის დღეებში ბატონი ჯუმბერი სამჯერ დამიკავშირდა ტელეფონით და მთხოვა, ზუსტად წამეკითხა ჩანაწერი. ასევე გამაფრთხილა, როცა გაზეთის სასიგნალო ამონაბეჭდს მივიღებდით, სიტყვასიტყვით გამეცნო მისთვის, რომ ბეჭდვის დროს რაიმე შეცდომა არ გაპარულიყო. როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტში ხომ ნათლად იხატება დიდი მეცნიერის დამოკიდებულება იმ ენის მიმართ, რომელზეც წერდა, რომელზეც აზროვნებდა...

***

ჩვენს ძირძველ, უმდიდრეს და ულამაზეს ენასთან დკავშირებით სათქმელს რა დალევს, ამ ენის სიტკბოზე შექმნილ პროზაულ და პოეტურ მარგალიტებს ვინ ჩამოთვლის. ამჯერად კი მინდა, მკითხველთათვის ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილი, მშობლიური ენის სიყვარულით გაჯერებული პოეტური სტრიქონები შემოგთავაზოთ (მცირე შემოკლებით) ერთ-ერთი ახალი კრებულიდან.

„სულიდან გამონაშუქით
ებრძვი მომხვდურის სიავეს,
კვლავ მღერი, როგორც აშული,
დაჭრილებს უხვევ იარებს...
სისხლად დიოდი არაგვში,
მორწყე კრწანისის ველები,
იქ იყავ, სადაც სამასნი
ომობდნენ არაგველები...
...
ბრილიანტების ლოდი ხარ,
ტალღებმა რომ ვერ დაგლეწა,
დარაჯად დგახარ მყინვართან,
ჯიში გაქვს ქართლოსიანთა...“

ვუერთდები ავტორის იმედიან განწყობილებას და მწამს, რომ მომხვდურთა თუ შინაურთა სიავე ვერას დააკლებს ქართლოსიანთა ჯიშის უკვდავების სიმბოლოს - ქართულ ენას!

მერი გიორგიძე

„ჩხერიმელა“ აფრიკელი ფორვარდით გაძლიერდა

ბენინის 17-წლამდე ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი მამადუ სეკო კადერი ხარაგაულის „ჩხერიმელას“ ფეხბურთელია. მამადუ სეკო კადერი 1995 წლის 27 დეკემბერს დაიბადა. ამპლუით ფორვარდი, ბენინის პრემიერლიგის კლუბ „პოლაისის“ აღზრდილია და „ჩხერიმელა“ მისი პირველი უცხოური კლუბია. ბენინელი იმერულ კლუბში სეზონის ბოლომდე ითამაშებს, გუნდის პირველ ლიგაში დარჩენის შემთხვევაში კი შემდეგ სეზონშიც „ჩხერიმელას“ წევრი იქნება. შეგახსენებთ, პირველი ლიგის ა ჯგუფის სატურნირო ცხრილში „ჩხერიმელა“ 27 ქულით ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფებდა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში

1.შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლი 08 სექტემბრის N 41 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამსახური დაკომპლექტდა 2014 ნლის ოქტომბრის თვიდან და მუშაობასაც ფაქტობრივად ამ პერიოდიდან შეუდგა. სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე, ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების და ხარაგაულის მუნიციპლიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას.

2. მოკლე მიმოხილვა

სამსახურის მიერ 2014 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 22 ოქტომბრის N1101, N1102, N 1103, N1104 ბრძანებების საფუძველზე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა შპს „ხარაგაული-2011“ -ს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრს“, ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშწყობის ცენტრს„და ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა-2009“-ს.

2015 წლის წლიური გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 11 რასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის აუდიტორული შემოწმება. მ/წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული გეგმის საფუძველზე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ჩხერიმელა-2009-ს და ა(ა)იპ „შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“. ასევე, 2014 წლის აუდიტორული შემოწმების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად მონიტორინგი ჩაუტარდა 2014 წელს შემოწმებულ ობიექტებს: შპს „ხარაგაული-2011“ -ს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრს“, ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშწყობის ცენტრს“. 2015 წლის წლიური გეგმით გათვალისწინებულია კიდევ 8 ობიექტის მონიტორინგი.

3. განხორციელებული ღონისძიებები

2014 წლის 22 ოქტომბრის N 1101 ბრძანების საფუძველზე შპს „ხარაგაული-2011“ -ს ჩაუტარდა საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავდა 01.01.2013-01.10.2014 წლების პერიოდს. აუდიტორული შემოწმება მიმდინარეობდა 2014 წლის 27 ოქტომბრიდან 2014 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

შემოწმების შედეგად დადგინდა ობიექტის რისკები და შემუშავებული იქნა რეკომენდაციები მათ დასაძლევად. აღმოჩნდა, რომ შპს „ხარაგაული-2011“-ს არ ჰქონდა ჩატარებული ინვენტარიზაცია, რაც ხელს უშლიდა ქონების აღრიცხვიანობას. საზოგადოების ბალანსზე რიცხული 16 ერთეული მძიმე ტექნიკიდან გამოსაყენებლად ვარგისი იყო მხოლოდ 3 ერთეული. აქედან ობიექტის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა გზის გრეიდერი, რომელიც ნაწილობრივ შესაკეთებელი იყო და შემოწმების პერიოდში არამუშამდგომარეობაში იყო, მას ელემენტარული საბურავებიც კი არ ჰქონდა. ადმინისტრაციის მიერ 2013 - 2014 წლებში ხდებოდა უხარისხო საბურავების შეძენა გრეიდერისათვის, რამაც გამოიწვია ახალი ადმინისტრაციისათვის დამატებითი ხარჯების გაწევა, კერძოდ, 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის სექტემბრამდე პერიოდში შეიძინა სულ 22 ცალი საბურავი, ღირებულებით - 8403 ლარი, უმჯობესი იქნებოდა შეეძინათ ახალი საბურავები და ხარჯიც შემცირდებოდა. ზემოთხსენებული ტექნიკა გაბნეული იყო მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში მათზე მომუშავე მძღოლებთან მიბარების ხელშეკრულებებით, რომლის თანახმადაც ტექნიკის მოვლა ევალებოდათ მძღოლებს, მაგრამ ხელშეკრულების პირობები არცერთ მათგანს არ ქონდა შესრულებული, ტექნიკა იყო მოუვლელი და გაძარცვული, მათ ამოცლილი ჰქონდათ სხვადასხვა ნაწილები. ადმინისტრაცია არ ახორციელებდა შესაბამის კონტროლს ტექნიკაზე. ყოველივე ამან წარმოშვა რისკები, რაც გამოიხატა შემოსავლის დაკარგვაში, არადა წესდების მიხედვით, საზოგადოება ორიენტირებული უნდა იყოს მოგების მიღებაზე. ასევე, ზედმეტად იქნა გადახდილი ქონების გადასახადი. ტექნიკა რომ აღრიცხული ყოფილიყო და ზუსტად გაერკვია ადმინისტრაციას თუ რომელი იყო ვარგისი, მაშინ გადასახადის გადახდა მოუწევდათ მხოლოდ ვარგის ტექნიკაზე.

საზოგადოებაში ხარვეზებით არის ნაწარმოები საკანცელარიო საქმიანობა, ასევე სახელმწიფო შესყიდვები. 2013 წელს შპს „ხარაგაული 2011“-ს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული აქვს 28890 ლარის ღირებულების გეგმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები ატვირთულია დაგვიანებით, რითაც დარღვეულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერებისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ დადგენილების მე-15 მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში დადებიდან 10 დღის ვადაში. შესყიდვების და ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ატვირთული უნდა იქნას ელექტრონულ სისტემაში შექმნიდან 10 დღის ვადაში. საზოგადოებას 2012 წლის ხელშეკრულებების ნაწილი ატვირთული აქვს 2012 წელს, ხოლო 2013 წლის ხელშეკრულებების ნაწილი 2014 წელს. სისტემაში არაა ატვირთული შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა და სხვა). 2014 წელს სისტემაში ატვირთულია შესყიდვების გეგმა, მაგრამ არაა ატვირთული არცერთი ხელშეკრულება და შესაბამისი დოკუმენტაცია.

მთელი რიგი დარღვევები აღმოჩნდა საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, კერძოდ, 2013 წლის ნარჩენი ღირებულება ნაჩვენებია 130045 ლარის ოდენობით, ნაცვლად 179451 ლარისა, სხვაობა შეადგენს 49406 ლარს. არნიშნულ ნარჩენ ღირებულებაზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 35890 ლარი. ვინაიდან საზოგადოებას არ ქონდა დარიცხული ქონების ცვეთის ღირებულება 35890 ლარი, ის არ გაატარა ხარჯში და აჩვენა მოგება 2015 ლარის ოდენობით, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან საზოგადოებამ წელი ფაქტობრიბად დაამთავრა ზარალით.

საზოგადოებას 2013 წელს საწარმოო ქონების წლიურ დეკლარაციაში ნაჩვენები აქვს ნარჩენი ღირებულება 104036 ლარი, რაზეც ქონების გადასახადის სახით დარიცხულია 1040 ლარი, მაშინ როცა ნარჩენი ღირებულება უნდა შადგენდეს143561 ლარს, ხოლო ქონების გადასახადის სახით დარიცხული უნდა იყოს 1435 ლარი. საწარმოს ახალმა ადმინისტრაციამ ჩაიბარი ფაქტობრივად ზარალზე მყოფი ორგანიზაცია.

შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ნაკლოვანებების საფუძველზე დადგინდა არსებული და მოსალოდნელი რისკები და საზოგადოებას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით ჩვენმა სამსახურმა 2015 წლის 18-20 თებერვალს ჩაატარა შპს „ხარაგაული-2011“-ის მონიტორინგი, რომლის შედეგადაც გამოირკვა შემდეგი: შპს „ხარაგაული-2011“-ის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საზოგადოების ქონების ინვენტარიზაციის განსახორციელებლად. პროცესში მონაწილეობა მიიღო კერძო აუდიტმაც და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიემართა ქონების მიმართ შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად. აღნიშნული ღონისძიებით საზოგადოებას შეუმცირდა ძირითად საშუალებებზე ცვეთის ღირებულება. საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონება თავმოყრილი იქნა ერთ სივრცეში და იმყოფება სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ, რითაც აცილებელია ქონების დაზიანების და დაკარგვის რისკები.

აღმოფხვრილია საკანცელარიო საქმისწარმოებაში არსებული ხარვეზებიც.

საზოგადოება შესყიდვების განხორციელებისას უკვე მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს შეძენილი პროდუქციის ხარისხს, მაგალითად, შეძენილ იქნა კარგი ხარისხის საბურავები გრეიდერისათვის, რითაც აცილებელი იქნება დამატებითი ხარჯების განევის რისკი.

კანონის მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშსწორება, რაც ამცირებს საზოგადოების ფინანსურ რისკებს.

რაც შეეხება შესყიდვებს, შესყიდვების კუთხით არ იქნა რეკომენდაციები გათვალისწინებული და ისევ არსებობს ხარვეზები: არაა შედგენილი შესყიდვების 2015 წლის გეგმა და არაა შეტყობინება გეგმის შესახებ გაგზავნილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში. ასევე არაა ატვირთული შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებები და სათანადო დოკუმენტაცია.

2014 წლის 04-08 ნოემბერს აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრს“. შემოწმებამ მოიცვა 2014 წლის 05 მარტიდან 01 ოქტომბრამდე პერიოდი. შემოწმების შედეგად ძირითადად ხარვეზები აღმოჩნდა საკანცელარიო საქმისწარმოებაში და შესყიდვების კუთხით. შესყიდვების ხელშეკრულებები და თანდართული დოკუმენტაცია არ იყო ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ცენტრს ბალანსზე არ ერიცხება ქონება. ის ფუნქციონირებს შენობაში, რომელიც იმყოფება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ამასთან, არ არსებობდა ცენტრის მიერ მისი კანონიერად ფლობის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი. ბიუჯეტით დამტკიცებული სუბსიდიის თანხა არაა საკმარისი წლის ბოლომდე ცენტრის ხარჯების დასაფარავად, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ ბიუჯეტი არაა სწორად დაგეგმილი. სპორტსმენებისთვის მივლინებაში ყოფნის პერიოდისათვის კვების თანხად განერილია დღეში 8 ლარი. ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც დასაბუთებული იქნებოდა აღნიშნული თანხის ოდენობის მიზანშეწონილობა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2015 წლის 16-18 თებერვალს სამსახურის წამყვანი სპეციალისტის, ინგა თურქაძისა და უფროსი სპეციალისტის, მაია გელაშვილის მიერ განხორციელდა ა(ა)იპ „ ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი„–ს 2014 წლის აუდიტორული შემოწმების საფუძველზე სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მინიტორინგი, რომელსაც ესწრებოდნენ: ცენტრის დირექტორი - დავით გელაშვილი და ბუღალტერი- მადონა გოლუბიანი. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა შემდეგი:

აღმოფხვრილია საკანცელარიო საქმისწარმოებაში არსებული ხარვეზები.

კანონის მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშსწორება, დაცულია საბუღალტრო დოკუმენტების გაფორმების სიზუსტე .

შესყიდვების კუთხით გათვალისწინებულია რეკომენდაციები. 2015 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია დროულად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე. ასევე ატვირთულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებები და სათანადო დოკუმენტაცია ვადეის დაცვით.

ცენტრს შესაბამისი ხელშკრულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტისგან უკვე გადაეცა შენობა, რომელშიც ახორციელებს ფუნქციონირებას და უკვე ის აღნიშნული ქონების კანონიერი მფლობელია.

რაც შეეხება სპორტსმენთა სამივლინებო ხარჯებში დღიური კვების თანხის შესაბამისი სტანდარტის შემუშავებას, კვლავ პრობლემად რჩება. როგორც ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, არ არსებობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთიანი სტანდარტი და შესაბამისად ადგილობრივ დონეზე უფრო ჭირს მისი შემუშავება. ანალოგიური ვითარებაა სხვა მუნიციპალიტეტებშიც. კარგი იქნება თუ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი დაეხმარება ცენტრს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში „სპორტის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის ნორმების შესაბამისად.

ასევე, შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშწყობის ცენტრ“-ს 2014 წლის 24-31 დეკემბერს. შემოწმებამ მოიცვა 03.06.2013ნ - 01.10.2014ნ პერიოდი.

ობიექტის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ძირითადი ხარვეზები არსებობდა საკადრო პოლიტიკაში, რაც იწვევს ობიექტების მართვის პროცესში რისკების წარმოშობას, შესყიდვების და საკანცელარიო საქმისწარმოების ხარვეზებით წარმოებას. არ იყო შემუშავებული სამუშაოთა განაწილების შესახებ ინსტრუქცია. არასწორად იყო გადანაწილებული თანამშრომლებს შორის ფუნქციები, კერძოდ, ფინანსური მენეჯერი ასრულებდა საკანცელარიო საქმისწარმოებას, შესყიდვებს და ბუღალტერიას, მაშინ, როცა საშტატო ნუსხით გათვალისწინებული კადრებიდან შესაძლებელი იყო ზემოთხსენებული ფუნქციების გადანაწილება. შესყიდვების ხელშეკრულებების გარკვეული ნაწილი ატვირტულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ვადის დარღვევით. საბუღალტრო დოკუმენტაცია არ იყო წიგნებად აკინძული.

აღსანიშნავია, რომ ცენტრმა თავის მუშაობაში არსებული და ჩვენს მიერ გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრა შემოწმების ჩატარების შესახებ ანგარიშის შედგენამდე და აღნიშნულის შესახებ გვაცნობა მოსაზრებაში, კერძოდ, შესყიდვებისა და საკანცელარიო საქმისწარმოებისათვის გამოყო ორი თანამშრომელი. ხარვეზების აღმოსაფხვრელად ობიექტს მიეცა რეკომენდაციები, რაც აუდიტორულ ანგარიშშიც აისახა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2015 წლის 25-27 თებერვალს სამსახურის მთავარი სპეციალისტის, სავლე შარიქაძისა და უფროსი სპეციალისტის, მაია გელაშვილის მიერ განხორციელდა ა(ა)იპ “ ხარაგაულის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრი„–ს 2014 წლის აუდიტორული შემოწმების საფუძველზე სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მინიტორინგი, რომელსაც ესწრებოდა: ცენტრის დირექტორი - მამუკა ჭიპაშვილი.

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა შემდეგი:

შტატები გადანაწილებულია და განსაზღვრულია თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაოს შესრულების ინსტრუქციები. გამოყოფილია ორი შტატი - ერთი შესყიდვების, ხოლო მეორე საკანცელარიო საქმისწარმოების მიმართულებით. აუდიტორული შემოწმების დროს ორივე აღნიშნული ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა ფინანსურ მენეჯერს, რაც ხელს უშლიდა მის მიერ სამივე ფუნქციის უშეცდომოდ განხორციელებას.

შესყიდვების კუთხით გათვალისწინებულია რეკომენდაციები. დაცულია შესყიდვების გეგმის შედგენის და ხელშეკრულებების გაფორმების კანონით გათვალისწინებული პროცედურები. 2015 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია დროულად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე. ასევე ატვირთულია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებები და სათანადო დოკუმენტაცია ვადეის დაცვით.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ “ ხარაგაულის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრი„–ს მიერ თავის საქმიანობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის განეული მუშაობის შეფასების საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 2014 წლის 11 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული აუდიტის ანგარიშში მითითებული დასკვნები და რეკომენდაციები ცენტრმა გაითვალისწინა და აღმოფხვრა არსებული ხარვეზები.

2015 წლის 06 იანვრიდან 2015 წლის 10 თებერვლის ჩათვლით პერიოდში აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009“-ს. შემოწმებული იქნა კლუბის ფუნქციონირების შედეგები 2013 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში.

კლუბს აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა 2012 წელს, რომელიც მოიცავდა 2009-2012 წლების პერიოდს. შემოწმება ჩატარებულია სახელმწიფო აუდიტის მიერ. ადმინისტრაციის მიერ არ იქნა გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების და მათ აღმოსაფხვრელად არ იქნა სათანადო ზომები გატარებული. ადმინისტრაციის ასეთმა გულგრილმა დამოკიდებულებამ შემოწმების შედეგებისადმი გამოიწვია კლუბის საქმიანობაში თითქმის იგივე ხასიათის ნაკლოვანებების აღმოჩენა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების დროსაც.

საფეხბურთო კლუბის მოთამაშეებთან დადებულ შრომით ხელშკრულებების ნანილში შრომის ანაზღაურების მითითებული თანხა არ ემთხვევა სახელდებით შედგენილ საშტატო განრიგში მითითებულ თანხას. სახელდებით მითითებულ საშტატო ნუსხებში აღრიცხულ ზოგიერთ მოთამაშესთან არაა გაფორმებული შრომითი ხელშკრულება ან პირიქით, ხელშკრულებით დაქირავებული ზოგიერთი მოთამაშე არაა დაფიქსირებული სახელდებით შედგენილ საშტატო ნუსხაში. სახელდებით მითითებულ ზოგ თანამშრომელზე მოხდა ხელფასების მომატება ბრძანებების საფუძველზე, თუმცა საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილება არ შესულა. ასეთმა შეუსაბამობებმა შესაძლოა დაბადოს უსაფუძვლო ეჭვი შრომის ანაზღაურების მიმართულებით და გახდეს ფინანსური რისკის საფუძველი. სამუშაო წლის განმავლობაში ხშირად ხდება მოთამაშე ფეხბურთელების ცვლა, რაც ბუნდოვანს ხდის კადრების აღრიცხვას. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სასურველია მოთამაშეებთან დადებული შრომითი ხელშკრულებების ვადის ამოწურვის შემდეგ შედგეს კლუბის დირექტორის ბრძანება შრომითი ხელშკრულების შეწყვეტის შესახებ თითოეულ მოთამაშეზე ინდივიდუალურად და გატარდეს ბრძანებების წიგნში. ბრძანებების გამოცემა უნდა მოხდეს ასევე თითოეულ მოთამაშეზე ცალ-ცალკე პრემიების გასაცემადაც. აღნიშნულის შესახებ მიეთითა ადმინისტრაციას.

შესყიდვები განხორციელებულია კანონდარღვევით. 2013 წლის აგვისტოს თვიდან კვების პროდუქტების შესყიდვის ღირებულება აღემატება 5000 ლარს, ამიტომ ხელშეკრულება უნდა დადებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით და არა გამარტივებული შესყიდვის წესით “ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად. 2014 წლის კვების პროდუქტების შესყიდვები განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული შესყიდვით, თუმცა ის უნდა დადებულიყო წლის დასაწყისიდანვე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რადგან შესყიდვების ღირებულება იმთავითვე აღმატებოდა 5000 ლარს. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად უნდა განხორციელდეს კარგი მენეჯმენტი.

მ/წლის 02-12 მარტს აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“. ამ ობიექტის საქმიანობაში აღინიშნება უმნიშვნელო დარღვევები შესყიდვების კუთხით, ასევე, სკოლას 2013 წელს ხარჯებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით აქვს გადახარჯვა 5 სახის ხარჯში: განწერით ხელფასი შეადგენს 59200 ლარს, ხარჯმა კი შეადგინა 60548 ლარი, სხვაობა შეადგენს 1348 ლარს. არაფინანსური აქტივების შეძენისათვის გამოყოფილია 1700 ლარი, ხარჯმა კი, 2615 ლარი შეადგინა, სხვაობა შეადგენს 915 ლარს. ტრანსპორტის დაქირავებისათვის დაგეგმილია 500 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 600 ლარი, სხვაობა შეადგენს 100 ლარს. საოფისე ინვენტარის შეძენისათვის გამოყოფილია 5700 ლარი, ხარჯმა კი შეადგუინა 7073 ლარი. სხვაობა შეადგენს 1373 ლარს. სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაში დაგეგმილია 1600 ლარი, ხარჯმა კი, შეადგინა 2729 ლარი, სხვაობა შეადგენს 1129 ლარს. აღნიშნული გადახარჯვები ნაწილობრივ დაფარულია სამუსიკო სკოლის ანგარიშზე შემოსული საკუთარი სახსრებიდან. სკოლაში სამუშაო ვითარება არის პოზიტიური.

ამჟამად, მ/წლის 23 მარტიდან მიმდინარეობს ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ აუდიტორული შემოწმება, რომელიც უნდა დამთავრდეს 22 აპრილს და რათქმაუნდა, შედგება შესაბამისი ანგარიში.

სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებული იქნა 2015 წლის წლიური გეგმა და სტრატეგიული გეგმა. ეს უკანასკნელი მოიცავს 2015-2017 წლებს და შედგენილია 2014 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების და გამოცდილების საფუძველზე. ორივე გეგმა დამტკიცებული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2014 წლის 03 დეკემბერს.

4. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შედეგები

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური მიწვეული იყო ქობულეთში სასწავლო ტრენინგზე 2014 წლის 04-05 დეკემბერს. ტრენინგის თემა იყო შიდა აუდიტის და მონიტორინგის საკითხები.

ბესარიონ ჭიპაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;
ტირაჟი 1000 ც

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.